თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი № 7

ქ. თერჯოლა 3 ოქტომბერი 2023 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე ბადრი ბუცხრიკიძე

სხდომას ესწრებოდნენ: 1. ბადრი ბუცხრიკიძე, 2. ბიძინა ბუცხრიკიძე, 3. კობა კაცაძე, 4. ჯემალ ისაკაძე, 5. გოჩა ვერულაშვილი, 6. მერაბი ბასილაძე, 7. ფრიდონ გვენეტაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. შალვა ჭანკვეტაძე, 3. ივანე ჩუბინიძე, 4. როლანდი მესხი.

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 7
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ(ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. №109 -ში მდებარე მერიის შენობაში (ს.კ. 33.09.45.949) არსებული 40 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქირავნობის ფორმით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 2 (ორი) წლის ვადით გადაცემის შესახებ)(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის № 28-2823275105 წერილი, 02.10.2023 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 6836 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს.კ.33.10.38.431) 103 კვ.მ. ფართობი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქირავნობის ფორმით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 2 წლის ვადით გადაცემის შესახებ) (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-2823327613, 03.10.2023 წ.);

მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ(ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. N109 -ში მდებარე მერიის შენობაში (ს.კ. 33.09.45.949) არსებული 40 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქირავნობის ფორმით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 2 (ორი) წლის ვადით გადაცემის შესახებ განკარგულების პროექტი - ფართს ითხოვს მოქალაქე მანანა ჯაილავა, შემდგომში მასში სწრაფი კვების ობიექტის განთავსების მიზნით. მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული ფართი გასხვისდეს პირდაპირი განკარგვის წესით, 2 წლის ვადით, ქირის თანხის რაოდენობა განისაზღვროს 1 $მ^2$ 30 (ოცდაათი) ლარის ოდენობით. შესაბამისად 40 $მ^2$ არასაცხოვრებელი ფართის ერთი თვის ქირავნობის თანხა განისაზღვრება 100 (ასი) ლარით, ხოლო 2 წლის ქირავნობის თანხა შეადგენს 2400 ლარს.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ(ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. №109 -ში მდებარე მერიის შენობაში (ს.კ. 33.09.45.949) არსებული 40 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქირავნობის ფორმით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 2 (ორი) წლის ვადით გადაცემის შესახებ.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 6836 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს.კ.33.10.38.431) 103 კვ.მ. ფართობი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქირავნობის ფორმით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 2 წლის ვადით გადაცემის შესახებ) განკარგულების პროექტი - ფართობს ითხოვს მოქალაქე ზაზა პერანიძე შემდგომში მასზე სწრაფი კვების ოებიექტის განთავსების მიზნით. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ საიჯარო ქირის საორიენტაციო ღირებულებად განისაზღვრა თვეში 50 ლარი. მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული ფართი გასხვისდეს პირდაპირი განკარგვის წესით, 2 წლის ვადით. შესაბამისად საიჯარო ქირის თანხის ოდენობა განისაზღვროს 103 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე თვეში 50 ლარით, ხოლო 2 წლის ქირავნობის თანხა შეადგენს 1200 ლარს.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 6836 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს.კ.33.10.38.431) 103 კვ.მ. ფართობი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქირავნობის ფორმით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 2 წლის ვადით გადაცემის შესახებ).

კომისიის თავმჯდომარე

ბადრი ბუცხრიკიძე